


ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი)

	2010	2011
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი		240062
მთლიანი სესხის პორტფელი		473671
მისაღები პროცენტები		-
სამეურნეო მასალები(მარაგები)		-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		9209
		722941
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		46468
არამატერიალური აქტივები		1332
		47800
მთლიანი აქტივები		770741
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება		25853
სხვა ვალდებულებები		52067
საგადასახადო ვალდებულებები		26803
მოკლევადიანი სესხები		100218
		204941
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		475696
გაუნაწილებელი მოგება		90104
		565800
სულ კაპიტალი		565800
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		770741

დირექტორი



ლ. ამაღლობელი

მოგება-ზარალის ანგარიში

	2011
საპროცენტო შემოსავალი	205471
შემოსავალი ჯარიმებიდან	49564
სხვა შემოსავლები	90402
<u>საერთო მოგება</u>	<u>345437</u>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	216838
საპროცენტო ხარჯი	2624
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან და ვალუტის გადაფასებიდან	23378
სხვა ფინანსური ხარჯი	12493
<u>მოგება დაბეგვრამდე</u>	<u>90104</u>
<u>მოგების გადასახადი</u>	<u>13515</u>
<u>წმინდა მოგება</u>	<u>76589</u>

დირექტორი

ლ. ამაღლობელი

შპს "ფინანსური მართვის ჯგუფი"



კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის	466827		466827
მფლობელთა შენატანი		8869	8869
წმინდა მოგება/ზარალი		76589	76589
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის	<u>466827</u>	<u>85458</u>	<u>552285</u>

დირექტორი

ლ. ამაღლობელი



1. სააღრიცხვო პოლიტიკა

1) მისოს აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად;

2) საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას. მოგება-ზარალის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება – არაპირდაპირი მეთოდით;

3) საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს;

4) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება დარიცხვის მეთოდით, ფასების შესაბამისად, მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპის გათვალისწინებით;

5) ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება შემცირებული ნაშთის მეთოდით.

ჯგუფი	%
ავეჯი და ოფისის ინვენტარი	20% შემცირებული ნაშთის მეთოდით
კომპიუტერები და ტექნოლოგიური ინვენტარი	20% შემცირებული ნაშთის მეთოდით
დანარჩენი ძირითადი საშუალებები	8 % შემცირებული ნაშთის მეთოდით
არამატერიალური აქტივები	15% შემცირებული ნაშთის მეთოდით

6) მატერიალური ფასეულობები, რომელთა ღირებულება ერთეულზე არ აღემატება 1000 ლარს ან რომელთაც აქვთ სასარგებლო სამსახურის მცირე ვადა (1 წელი ან უფრო ნაკლები), მათი შექმნა განიხილება მიმდინარე პერიოდის ხარჯებად;

7) ორგანიზაცია ახდენს გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხების შექმნას, რადგანაც გაცემული სესხის პორტფელის მთავარი შემადგენელი ნაწილი არის სამომხმარებლო სესხი, იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური ანარიცხები საეჭვო სესხებისთვის.

8) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებული უნდა იქნენ იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი იქნენ გაწეულნი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზნით გამოიყენება აღებული სესხი.

2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. მისონ გახსნილი აქვს ანგარიშსწორების ანგარიშები (სალარე, სავალუტო) რეზიდენტ ბანკებში (სს "თი ბი სი ბანკი"). მისონ 2011 წლის ბოლოს არსებული ფულადი სახსრებიდან 234585 ლარი გააჩნდა ნაღდი ფულის სახით, ხოლო დანარჩენი 5477 ლარი (მათ შორის სხვადასხვა ვალუტაში აშშ დოლარი, ევრო) განთავსებული იყო საბანკო ანგარიშებზე.

3 სესხის პორტფელი

სესხის პორტფელი შედგება:

1. 473 671 ლარის – გაცემული სესხებისაგან;

4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

მისონ ძირითადი საშუალებები შედგება შემდეგი ჯგუფებისაგან:

კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა – 46468 ლარი;
არამატერიალური აქტივები – 1332 ლარი.

5 კაპიტალი

მისონ შევსებული საწესდებო კაპიტალი 31.12.2011 წ. მდგომარეობით შეადგენს – 475696 ლარს.

6 შემოსავლები

მისონ ამონაგები 2011 წელს მოიცავს:

1. საპროცენტო შემოსავლები – 205471 ლარი;
2. შემოსავლები ჯარიმებიდან პროცენტზე, ძირ თანხაზე და აუთენსიკაციის სესხების საკომისიო – 49564 ლარი;
3. სხვა შემოსავლები – 90402 ლარი.

7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

მისი 2011 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება: ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი – 106097 ლარი, საიჯარო ქირა – 71766 ლარი, სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები – 38975 ლარი.

მისი ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია საპროცენტო ხარჯის, უარყოფითი საკურსო სხვაობის, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ხარჯის და სხვა ფინანსური ხარჯების სახით – 38495 ლარი.

8 მოგების გადასახადის ხარჯი

მისი 2011 წლის მოგებამ შეადგინა – 76589 ლარი, რომლის ეფექტიც ასახულია კაპიტალის მოძრაობის წმინდა მოგების მუხლში.